

დავით კაკაბაძე

დავით კაკაბაძე დაიბადა 1889 წლის 20 აგვისტოს, სოფელ კუხში. 1900 წ. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც ხატვას, ხაზვას და სუფთა წერას ასწავლიდა ვასილ ბალანჩივაძე. ამავე დროს, იგი ქუთაისის ლადო ალექსი-მესხიშვილის დასის ცნობილი მსახიობი იყო და დავითიც ხშირად ესწრებოდა სპექტაკლებს. ჩვენი მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში ინახება დავითის მიერ, 1907 წელს დახატული ვასილ ბალანჩივაძის პორტრეტი ფილიპე ბარბაქაძის როლში, დ. კლდიაშვილის სპექტაკლიდან „ირინეს ბედნიერება“. იგი ხატვის გაკვეთილებს იღებს ქუთაისში დროებით ჩამოსული პოლონელი მხატვარის ი. პავესკის სკოლაში. 1908 წელს შედის ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რუსი მხატვრის ვასილ კროტკოვის მიერ გახსნილ სამხატვრო სკოლაში, რომლის მალევე დახურვის შემდეგ, დავითი მასწავლებლის რჩევით მუშაობას პლენერზე აგრძელებს, ხშირად გადის ქალაქგარეთ და ხატავს ეტიუდებს.

1909 წელს, როგორც ჭიათურის მანგანუმის საზოგადოების სტიპენდიანტი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა. აკადემიის კონკურსში საჭირო ქულები ვერ დააგროვა, მაგრამ პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მატიმატიკური ფაკულტეტის, საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტი გახდა (1909-1916 წწ.). პარალელურად, სწავლას იწყებს ცნობილ პედაგოგთან, მხატვარ-ილუსტრატორ, აკადემიკოს ლევ დიმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში, სადაც 1918 წლამდე ხატვის ოსტატობას ეუფლება.

1913 წელს პეტერბურგელი მხატვრების საჯარო გამოფენაზე 4 ნამუშევრით პირველად იღებს მონაწილეობას, რომლებიც პრესამ დადებითად შეაფასა.

პეტერბურგში სწავლის პერიოდში მან შექმნა რამოდენიმე სერია: მცირე ზომის ზეთში შესრულებული ხუთი პეიზაჟი ფინეთის ხედებით (1912 წ.), რამოდენიმე იმერული პეიზაჟი (1910-1915 წწ.), სამი ავტოპორტრეტი: „ბრონეულებით“, „სარკეში“ (ორივე 1913 წ.) და „ნაც-რისფერ ხალათში“ (1917 წ.), დედის და ძმის პორტრეტები (1914 წ.).

1917-1918 წწ. დ. კაკაბაძე სამხედრო სამსახურშია პიროტექნიკოსად. 1918 წელს, პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ხატავს სურათებს იმერეთის ცხოვრებიდან, რაც მისი შემოქმედებითი გზის მუდმივი თანამგზავრია. ამავე წელს დახატა ყველაზე ცნობილი სურათი „იმერეთი დედა-ჩემი“, ხოლო 1944 წელს იმერული პეიზაჟის სერიას ამთავრებს ცნობილი ნახატი „ნითელი მთა“. ჟურნალ „შვიდ მნათობში“ აქვეყნებს სტატიას ილუსტრაციებით „ძველი თბილისი“. წლის ბოლოს იწყებს მუშაობას თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში – ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და ხატვის პედაგოგად.

1918 წელს, დიმიტრი შევარდნაძის ძალისხმევით, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე „დიდების ტაძრის“ შენობა საგამოფენო დარბაზად ქართველ მხატვართა საზოგადოებას გადაეცა (დღევანდელი ეროვნული სამხატვრო გალერეა). 1919 წელს, მოეწყო ყველა თაობის ქართველ მხატვართა გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო: ნ. ფიროსმანის, გ. გაბაშვილის, მ. თოიძის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, შ. ქიქოძის, ელ. ახვლედიანის და სხვათა ნამუშევრები. დ. კაკაბაძის ინდივიდუალურმა, ეროვნულმა და ამავე დროს მოდერნულმა მხატვრობამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. იგი მათ წინაშე წარსდგა 60-მდე ნახატი (დ. კაკაბაძის ავტობიოგრაფიის მიხედვით მ. მ.), რაც პეტერბურგში 9 წლიანი სწავლის ერთგვარი შეჯამება იყო. რუსეთიდან დაბრუნებული დავით კაკაბაძე სამშობლოს მოევლინა ჩამოყალიბებულ მხატვრად, რომელმაც ახალი ქართული მხატვრობის განვითარებაში თავისი სიტყვა თქვა.

მისი ნამუშევრების უმეტესი ნაწილი მთავრობამ ახლად დაარსებული ნაციონალური მუზეუმისთვის შეიძინა. ამ პერიოდში დ. კაკაბაძე გვევლინება ხელოვნების თეორეტიკოსადაც. მან პირველმა დაწერა ნაშრომი XII-საუკუნის ქართველ ოქრომჭედელ ბექა ოპიზარზე.

1919 წელს, „ცისფერყანწელთა“ თაოსნობით, გაიხსნა და მოიხატა კაფე „ქიმერიონი“

(დღევანდელი რუსთაველის თეატრის ქვედა სართულის ფოიე), რომლის მოხატვაში დავით კაკაბაძეც მონაწილეობდა.

1919 წელს ახალგაზრდა მხატვარი ეროვნული ხელისუფლების ხარჯზე საფრანგეთში სტიპენდიანტად გაგზავნეს „მხატვრობის და მეცნიერების“ ცოდნის გასაღრმავებლად. 1920-1927 წლებში, საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში მუშაობდა მხატვრობის და ხელოვნების სამეცნიერო დარგში, მონაწილეობდა გამოფენებში. 1926 წ. მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო ნიუ-იორკში (სურათები შექმნილია და გამოფენილია პარიზის და ნიუ-იორკის გალერეებზე და მუზეუმებში: „Galleris Leonce Rosenberg“ – პარიზი. „The Anderson galleries“ და „Bruklin Museum“ ნიუ-იორკი).

პარიზში გატარებული რვა წლის განმავლობაში დ. კაკაბაძე ახალ მხატვრულ ავანგარდულ მიმდინარეობებს ეუფლებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ყოველწლიურ პარიზულ გამოფენებში. ამ პერიოდში იქმნება: პარიზული პეიზაჟის, ბრეტანის, კუბისტური ნატურმორტების, შერეულ ტექნიკაში შესრულებული კონსტრუქციულ-აბსტრაქტული კომპოზიციების სერიები.

1921 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა დ. კაკაბაძის ნაშრომი „მხატვრობის შესახებ“. 1924 წ. პარიზში, ქართულ ენაზე გამოიცა მონოგრაფია კაკაბაძის შემოქმედების შესახებ, ხოლო 1926 წ. პარიზში დაიბეჭდა კაკაბაძის ავტორობით ნაშრომი „ხელოვნება და სივრცე“. პარიზში დ. კაკაბაძე გაიტაცა კინემატოგრაფიამ. სწორედ აქ იჩინა თავი პეტერ-ბურგში მიღებული ფიზიკა-მათემატიკურმა განათლებამ და მისთვის დამახასიათებელმა ანალიტიკურმა აზროვნებამ. 1923 წელს პარიზში მან გამოიგონა სტერეოკინოს სისტემა, რომელიც 1924 წ. მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებში დააპატენტა. აპარატი მონონებულ იქნა პარიზის ოპტიკური ინსტიტუტის მიერ და დაარსდა საზოგადოება (დ. კაკაბაძის ავტობიოგრაფიაში მითითებული არაა საზოგადოების სახელწოდება) 900 000 ფრანკის საბრუნავი თანხით.

1926 წ. პარიზში, „დამოუკიდებელთა სალონი“, მოწყობილ ვერნისაჟზე, წარმოდგენილი იყო დავით კაკაბაძის ერთადერთი ქანდაკება „განგმირული თევზი“ იგივე „Z“ (ზეტი). ნამუშევარი ამერიკელმა მხატვარმა, კოლექციონერმა კეტრინ დრაიერმა, ანონიმურ საზოგადოებასთან ერთად, შეისყიდა და 1926 წლის 19 ნოემბერს დავით კაკაბაძის ქანდაკება „Z“, ექვსი კოლაჟი და ცხრამეტი აკვარელი, გამოიფინა ნიუ-იორკში „ბრუკლინის მუზეუმში“ (დღეს იგი იელის (აშშ) უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება დანარჩენ 16 ნამუშევართან ერთად სერიიდან „აბსტრაქცია ყვავილების ფორმით“).

კეტრინ დრაიერისგან მიღებული თანხით, დ. კაკაბაძემ გამოაქვეყნა წიგნი თავისივე მხატვრული გაფორმებით „ხელოვნება და სივრცე; პარიზი 1925-26 წლები“. ტექსტი მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა („Bulletin de'Effort Moderne“ 1925, №18,19). 1926 წ. იმავე ბიულეტენში გამოაქვეყნა სტატია „სივრცის ორი კონცეფცია (დასავლეთი და აღმოსავლეთი)“.

1927 წელს, ჩამოყალიბებული მხატვარი და ხელოვნების თეორეტიკოსი, დ. კაკაბაძე საქართველოში ბრუნდება. ჩამოსვლისთანავე „ხელოვნების სასახლეში“ (დღევანდელი მწერალთა კავშირი) მან წაიკითხა მოხსენება „ზოგიერთი საკითხი ევროპულ კულტურასთან დაკავშირებით“.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: თბილისის სამხატვრო აკადემიის ხატვისა და ფერწერის პედაგოგად (1928 წ.), ფერწერის ფაკულტეტის დეკანად და კათედრის გამგედ (1930-32 წწ.), დირექტორის მოადგილედ (პრორექტორი) სასწავლო დარგში (1933-1942), საგამოფენო კომისიის მთავარ მხატვრად (1937-38 წწ.).

1929 წ. განსახკომის უმაღლესი სამეცნიერო საბჭოს განათლების დადგენილებით, პროფესორის წოდება მიენიჭა.

1928 წელს მისმა პროექტმა გაიმარჯვა აკაკი წერეთლის ძეგლისთვის გამართულ კონკურსში, რომელიც 1931 წ. მთაწმინდის პანთეონში დაიდგა.

1928 წლის მაისში, ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ სასტუმრო „ორიენტში“ მოეწობილ დავით კაკაბაძის ნამუშევართა გამოფენას კოტე მარჯანიშვილი დაესწრო, რომელიც იმ დროს ქუთაის-ბათუმის მეორე სახელმწიფო დრამატულ თეატრს აყალიბებდა. დიდმა რეჟისორმა მაშინვე შესთავაზა თანამშრომლობა. 1928 წ. თეატრი გაიხსნა ე. ტოლერის პიესით „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, რომელიც დავით კაკაბაძემ გამორჩეული სცენოგრაფიული გადაწყვეტით შეასრულა.

დ. კაკაბაძეს გაფორმებული აქვს 30-მდე სპექტაკლი ოპერის, მარჯანიშვილის, ქუთაისის, მოზარდ მაცურებელთა თეატრებში, თბილისის მუშათა კლუბებსა და რაიონულ თეატრებში.

ჩვენი მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში დაცულია კაკაბაძის რამოდენიმე

სპექტაკლის დეკორაციისა და კოსტიუმების ესკიზი. მათ შორის რეჟისორ დავით კობახიძის პროლეტარული თეატრის სპექტაკლის „აღმშენებლობის“ (1928-29 წწ.) ერთადერთი მიზანსცენის ტუშით შესრულებული კონსტრუქციული დეკორაციის ესკიზი.

1931 წელს გაიმართა პრემიერა დ. კაკაბაძის სცენარითა და რეჟისორობით გადაღებული ფილმის „ქართული არქიტექტურა უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით“ (ოპერატორები ვ. პოზნანი და ი. ავდიევი).

აგიტჯგუფის გადაწყვეტილებით, ფილმი არ შეესაბამებოდა მარქსისტულ იდეოლოგიას, რომელსაც ხელახალი გადამუშავების შემდეგ, დაუშვებდნენ მუზეუმებსა და სასწავლო დაწესებულებებში დემონსტრირებისთვის. ფილმი დაიკარგა, მაგრამ გადარჩა რამოდენიმე ასეული ფოტო, რომელიც 1983 წელს ექსპონირებული იყო გამოფენაზე თბილისის უნივერსიტეტში პარმენ მარგველაშვილის თაოსნობით. აქ დავით კაკაბაძე მოგვევლინა „ქართული ფოტოხელოვნების პიონერად“ (ქ. კინწურაშვილი „დავით კაკაბაძე XX-ის კლასიკოსი“).

1935 წელს ანალიზებს რა პრაქტიკას თეატრში, დ. კაკაბაძე წერს სტატიას – „მხატვრის როლი დრამატურგიაში“. პრაქტიკულად ეს იყო პირველი სცენოგრაფიული კვლევა, რომელიც დაინერა ქართველი ავტორის მიერ (ნ. ურუშაძე, „დავით კაკაბაძე“).

1936 წ. მას პედაგოგიური მოღვაწეობისთვის აჯილდოებენ „საპატიო ნიშნის ორდენით“ და ამავე წელს ნიშნავენ ქართული თანამედროვე მხატვრობის 15 წლის საიუბილეო გამოფენის მხატვრად. ამ დროს თბილისში იმართება დისკუსია ფორმალისმის წინააღმდეგ, სადაც დავით კაკაბაძემ განმარტა – რას ნიშნავს ფორმალისტური მიმდინარეობა და რა მნიშვნელობა აქვს მას ხელოვნების განვითარებაში; განაცხადა, რომ 1929 წლამდე პარიზსა და საქართველოში შექმნილი ყველა მისი ნამუშევარი ფორმალისტური იყო.

1939 წ. შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული მხატვრის წოდება.

1939 წ. დ. კაკაბაძე ქმნის აკვარელის სერიას „სვანეთი“ და თბილისისა და მისი შემოგარენის: კოჯრის, კიკეთისა და გორის პეიზაჟების სერიას (1944 წ.).

1928 წლიდან მუშაობს მხატვრად „სახკინმრეწვში“, სადაც გააფომა ფილმები: „საბა“ (1929 წ.), „ბუბა“ (1930 წ.), „უსინათლო“ (1930 წ.), „ჯიმ შვანთე“ (1930 წ.), „ხაბარდა“ (1931 წ.), „დაკარგული სამოთხე“ (1937 წ.), „აკაკის აკვანი“ (1947 წ.).

1942 წელს მოსკოვიდან თბილისში, სწავლების მეთოდიკის შესამოწმებლად, ჩამოვიდა დიდი კომისია მხატვარ იგორ გრაბარის ხელმძღვანელობით. მოინახულეს დ. კაკაბაძის სახელოსნო და იმპრესიონისტული ნათელი ფერებით ხატვის მეთოდი დაუწუნეს. 1942 წელს მას ათავისუფლებენ სამხატვრო აკადემიის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან, მაგრამ დ. კაკაბაძე ცდილობდა თავისი პრინციპებისთვის არ ელაღაბა. სტუდენტებს უზიარებდა თავის გამოცდილებას, კითხულობდა მოხსენებებს რომანტიზმზე, ფრანგულ რეალიზმზე, იმპრესიონიზმზე და ა. შ. 1948 წელს იგი საერთოდ გაათავისუფლეს სამხატვრო აკადემიიდან და აუკრძალეს პედაგოგიური მოღვაწეობა მიზეზით: ვერ უზრუნველყო სოციალისტური რეალიზმის სწავლების მეთოდიკა. უსახსროდ დარჩენილი ცოლით და ორი მცირეწლოვანი შვილით, დ. კაკაბაძე თანახმაა ასწავლოს ფრანგული ენა, საბუნებისმეტყველო საგნები, ხატვა, მაგრამ ნებისმიერი მცდელობა უშედეგოდ მთავრდება.

მხატვარი ლევან ცუცქერიძე იგონებს: „მახსოვს სამხატვრო გალერეაში საჯარო გაკიცხვა მოუწყეს, მხატვარმა ა. კობალიანმა ხმამაღლა გამოაცხადა – როცა გარდაიცვლება მის კუბოს არ ავწევო. თავად დავითი მისთვის დამახასიათებელი სიდარბაისლით გამოვიდა. ჩვენ სტუდენტები სულგანაბული ვუსმენდით. არც ერთი მისი სიტყვა არ გამოგვრჩენია. ეს დაუვიწყარი იყო. იმ დღეს გარიცხეს კომპარტიიდან და ასევე სამხატვრო აკადემიიდან. პირადად მე იქ არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ სამხატვრო საწყობში ფუნჯებისა და საღებავების გამყიდველის ადგილი შესთავაზეს“ (პირადი საუბარი მ. მ.).

საბჭოთა ხელისუფლებისგან თავის გადასარჩენად, დ. კაკაბაძე ქმნის რამოდენიმე ინდუსტრიული ხასიათის პეიზაჟს „ფოთი. ელევატორი“ (1947 წ.), „მადნეულის დამუშავება სვანეთში“ (1949 წ.), „რუსთავი ფოლადის პირველი გამოდნობა“ (1950 წ.) და ა. შ. მაგრამ უშედეგოდ.

1940 წელს დ. კაკაბაძემ გამოიგონა ფოტოგრაფიული პორტრეტის სამ განზომილებიანი მოცულობითი გამოსახულება, რომელიც აღწერილობითა და ნახაზებით გააგზავნა მოსკოვის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სამმართველოში, მაგრამ საავტორო უფლებები ვერ მიიღო. 1951 წელს იგი დაუბრუნდა ამ თემას და სტალინის მოცულობითი ფოტოგრაფიის სამი ვარიანტი გააკაბა. ერთ-ერთი ვარიანტი მთავრობას შესთავაზა გაეტანათ საქართველოს ეკონომიკური მიღწევების გამოფენაზე, მაგრამ აქაც უარი მიიღო.

დ. კაკაბაძემ ქართული სცენოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა სპექტაკლების გაფორმებით: მარჯანიშვილის თეატრში – პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუ-

თაბერი“, დ. ჩიანელის „ბაილი“, ა. ქუთათელის „შუალამემ გადაიარა“, ა. კორნეიჩუკის „ეს-კადრის დაღუპვა“, შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“, ვ. პატარაიას „სანაპიროზე“, ხოლო ქუთაისის თეატრში – უ. შექსპირის „მეფე ლირი“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, მ. გორკის „მტრები“, შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“, „გუშინდელნი“ და „ჩატეხილი ხიდი“, ა. აბშილაშვილს „ჩვენთან მთებში“. კომუნისტური იდეოლოგიისგან დევნის პერიოდში, 1950-51 წლებში მას მეგობრულ დახმარებას უწევდნენ რეჟისორები დ. ანთაძე და ა. ჩხარტიშვილი, რომლებიც თავიანთი სპექტაკლების გაფორმების შესაძლებლობას აძლევდნენ. მუზეუმის წიგნსაცავში ინახება ქ. კინწურაშვილის ფუნდამენტური ნაშრომი – „დავით კაკაბაძე XX საუკუნის კლასიკოსი“, სადაც დანვრილებითაა აღწერილი მხატვრის ცხოვრება და შემოქმედება.

დავით კაკაბაძემ თავისი შემოქმედებით ღირსეულ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნული მხატვრობა და მე-20 საუკუნის ქართველი კლასიკოსი მხატვრის სახელი დაიმკვიდრა. მაღალი ინტელექტის, მრავალმხრივ ერუდირებული მხატვარი მეცნიერულად უდგებოდა ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს. მის მიერ შექმნილი დაზგური და გრაფიკული ნაშუქები, იქნება ეს პეიზაჟი თუ პორტრეტი, კუბისტური თუ რეალისტური კომპოზიცია, თეატრალური ესკიზი, თუ აბსტრაგირებული სკულპტურა ყველგან ერთი პრინციპია – მაღალი აკადემიზმი. სხვადასხვა თემაზე შექმნილ სერიულ კომპოზიციებში, მხატვრის მიერ დასახული კონკრეტული ამოცანა აზრობრივად, ტექნოლოგიურად და სტილისტურად სრულადაა ამოწურული. ყოველი ასეთი სერიის დასრულების შემდეგ, იგი კითხულობდა ლექციებს და აქვეყნებდა მეცნიერული ძიების ანალიტიკურ შედეგებს.

1952 წლის 10 მაისს, საბჭოთა ხელისუფლებისგან უგულვებელყოფილი დ. კაკაბაძე, ინფარქტით გარდაიცვალა. თავდაპირველად დაკრძალეს ვაკის სასფლაოზე, ხოლო 1963 წელს გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დავით ნესტორის ქა კაკაბაძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. დავით კაკაბაძის ავტობიოგრაფია.
1938 წ. 11 ოქტომბერი. ნაბეჭდი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. დამონმებული ბეჭდით.
გაურკვეველი ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.
2. დავით კაკაბაძის ავტობიოგრაფია.
1939 წ. 10 ივლისი. ნაბეჭდი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. 5 ფ.
3. დავით კაკაბაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1938 წ. 11 ოქტომბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. რუსულ
ენაზე. 2 ფ.
4. დავით კაკაბაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოთი.
1938 წ. 14 ოქტომბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. დამონმებული
ბეჭდით. მელნი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 2 ფ.
5. დავით კაკაბაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოთი.
1942 წ. 10 აპრილი. ბლანკი. ავტოგრაფი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. მელანი. რუსულ
ენაზე. 2 ფ.

დახასიათებები

6. დავით კაკაბაძის დახასიათება. გაცემული საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის
მიერ.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის თავმ-
ჯდომარე – ქ. გიორგაძე, პასუხისმგებელი მდივანი – ა. კოპალიანი. 1 ფ.
7. დავით კაკაბაძის დახასიათება, გაცემული სსსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხე-
ლოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ხელოვნების სამმართველოს უფროსი – ვ. გოგუა.
ტიტულიანი ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 ფ.
8. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება №483, სამხატვრო აკადემიის დირექტორისადმი, შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის გაფორმებისას დ. კაკაბაძის სრული პასუხისმგებლობის შესახებ.
1937 წ. 11 დეკემბერი. ნაბეჭდი. დამონმებული ბეჭდით. კარაპეტოვას ხელმოწერით. 1 ფ.
9. ამონაწერი საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის სხდომის ოქმიდან №12. ფერწერის პროფესორ, დავით კაკაბაძის შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.
1939 წ. 28 ნოემბერი. ნაბეჭდი. დამონმებული ბეჭდით. საქმეთა მმართველის, ანანოვას ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.
10. ამონაწერი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა გამგეობის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან №12. ფერწერის პროფესორ დავით ნესტორის ძის კაკაბაძის 25 წლის შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.
1940 წ. 7 აპრილი. ნაბეჭდი. დამონმებული ბეჭდით. საქმეთა მმართველის, ჩოჩიევის ხელმოწერით. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ფ.
11. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება №586. პროფესორ დ. კაკაბაძის სამხატვრო აკადემიის დირექტორის მოვალეობის შესრულების შესახებ.
1940 წ. 19 ნოემბერი. ნაბეჭდი. დამონმებული ბეჭდით. ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ბ. გოგუა. 1 ფ.

12. ბრძანება №84. ამონაწერი თბილისის სამხატვრო აკადემიისადმი. სასწავლო ნაწილის გამგის, პროფ. დ. კაკაბაძის ქ. მოსკოვსა და ქ. ლენინგრადში 15/06- დან 15/07-მდე, ერთი თვით სამეცნიერო მივლინებაში გამგზავრების გამო.
1941 წ. 26 ივნისი. ნაბეჭდი. ბლანკი №138. ასლი დამონმებული დედანთან. ხელმოწერით. გვარი არ იკითხება. 1 ფ.

შემაჯავრობითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

13. დავით კაკაბაძის ძირითადი ნახატების სია.
1939 წ. 10 ივლისი. ნაბეჭდი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. 3 ფ.
14. დავით კაკაბაძის ძირითადი ნახატების სია.
უთარილო. ნაბეჭდი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.
15. დავით კაკაბაძის სამეცნიერო შრომების სია.
1939 წ. 10 ივლისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. მელანი. ჩამატება ფრანგულ ენაზე. 1 ფ.
16. დავით კაკაბაძის სამეცნიერო შრომების სია.
უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. დ. კაკაბაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. მელანი. ჩამატება ფრანგულ ენაზე. 1 ფ.